თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ო ლ ქ ო ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს

მოსარჩელე:
ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №1,
I სადარბაზო, მე-4 სართული
ტელ: 93 24 03; 99 04 72

მოპასუხეები:
საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მის: 0115, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68ა
ტელ: 23 06 64

შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"
SpiCapag/Petrofac International ltd
მის: 0107, ქ. თბილისი, ლიბაურის ქ. №4
ტელ: 33 19 96; 33 09 50

მესამე პირი:
ს.ს "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანია"
მის: 0190, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21
ტელ: 92 02 45

ს ა რ ჩ ე ლ ი

(ადმინისტრაციული აქტის გათავისუფლების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ)

2003 წლის 24 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ამჟამად წოდებული როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (შემდგომში - გარემოს დაცვის სამინისტრო) შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალზე" (შემდგომში – პროექტის ინვესტორი) გასცა გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 (შემდგომში – გარემოსდაცვითი ნებართვა) "საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალურ სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ - "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების პროექტზე" (იხ. დანართი 1). აღნიშნული პროექტი გულისხმობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის პროცესში მუშა-მოსამსახურეთა ბანაკებსა და სამშენებლო მოედნებზე წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებას სპეციალურ სათავსებში ქ. მარნეულის შესასვლელთან მდებარე მშენებელთა ბანაკის გვერდით გამოყოფილ 1 ჰა მიწის ნაკვეთზე და მის გადატანას შემდგომი გადამუშავების მიზნით

გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარის მიმდებარედ განთავსებულ ნაგვის დასაწყად დანადგარ – ე.წ "ინსინერატორში".

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში გარემოს დაცვის სამინისტრომ არ გაითვალისწინა კანონმდებლობით დადგენილი სამინისტროს მიერ საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის სავალდებულო მოთხოვნები. აღნიშნულით შეილახა ჩვენი უფლებები გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (შემდგომში – ორჰუსის კონვენცია) მე-5 და მე-6 მუხლებით (იხ. დანართი 2), "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით (იხ. დანართი 3), "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "ბ" "დ" და "ვ" პუნქტებით და "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 14 აგვისტოს №85 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლით.

ამავდროულად, პროექტის ინვესტორს არ წარუდგენია გარემოს დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია, თუმცა, გარემოს დაცვის სამინისტრომ მაინც გასცა ნებართვა. აღნიშნულით დაირღვა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-5 და მე-7 მუხლებით, მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით, "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით, მე-6 მუხლით, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-10 მუხლით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 16 მაისის №59 ბრძანებით დამტკიცებული "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების მე-12, მე-13 და მე-18 მუხლებით (იხ. დანართი 4) და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2003 წლის 14 აგვისტოს №85 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები.

გარდა ამისა, არ შესრულდა ასევე საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 31 მაისს რატიფიცირებული "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების დანართით, "ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს მთავრობა და პროექტის ინვესტორები" (შემდგომში – ხელშეკრულება) დადგენილი მოთხოვნები (იხ. დანართი 14).

I.

გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 2003 წ. 24 დეკემბერს გაცემული №0122 გარემოსდაცვითი ნებართვისა და თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის 2003 წ. 22 დეკემბრის №106 დასკვნის თანახმად, 2003 წ. 6 ნოემბერს საქართველოს

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-სთვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის მიზნით, გარემოს დაცვის სამინისტროში წარადგინა შპს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ის საქმიანობასთან დაკავშირებული პროექტი, რომელიც გულისხმობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობის პროცესში მუშა-მოსამსახურეთა ბანაკებსა და სამშენებლო მოედნებზე წარმოქმნილი ნარჩენების (ა) დროებით განთავსებას სპეციალურ სათავსებში ქ. მარნეულის შესასვლელთან მდებარე მშენებელთა ბანაკის გვერდით გამოყოფილ 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე და (ბ) მის გადატანას შემდგომი გადამუშავების მიზნით გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის მიმდებარედ განთავსებულ დასაწყავ დანადგარ ე.წ. "ინსინერატორში".

"გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "კ" ქვეპუნქტის თანახმად, *"საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალურ სათავსებით დროებით დასაწყობება და ნარჩენების დასაწყავ დანადგარ - "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირება"* განეკუთვნება პირველი კატეგორიის საქმიანობას, ანუ ისეთ საქმიანობას, "რომელმაც თავისი მაშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე". ამდენად, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლი და "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების მე-12 მუხლი ავალდებულებს ინვესტორს გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგინოს წერილობითი განაცხადი, რომელიც უნდა შეიცავდეს დამასაბუთებელ დოკუმენტაციას, ინვესტორის განცხადებას საქმიანობაზე ნებართვის მისაღებად, საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთების პროექტს და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. ამასთან, საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს ინვესტორს, განაცხადთან ერთად წარადგინოს საქმიანობის მოკლე ანოტაცია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პრესაში და მიეწოდოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

როგორც სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის 2003 წლის 22 დეკემბერის № 106 დასკვნიდან ირკვევა (იხ. დანართი 1), გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად გარემოს დაცვის სამინისტროსთვის წარედგინა შემდეგი სახის საპროექტო დოკუმენტაცია:

1. მარნეულის მშენებლთა ბანაკის მიმდებარე 1 ჰა ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალურ სათავსებით დროებით დასაწყობებასთან დაკავშირებით "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება – ფონური პასუხისმგებლობის შესწავლა";

2. – გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარაში ნარჩენების დასაწყავი დანადგარ "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების შედეგად "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში";

   – "ატმოსფერული ჰაერის დაცვის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევათა ნორმატივების პროექტი";

   – "გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში".

ზემოთ ჩამოთვლილ საპროექტო დოკუმენტაციას ჩაუტარდა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, რის საფუძველზეც მომზადდა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის №106 დასკვნა, რაც თავის მხრივ, გახდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ პროექტის ინვესტორისთვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის საფუძველი.

გარემოს დაცვის სამინისტრომ პროექტის ინვესტორისთვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემით დაარღვია "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ", "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონებით და "გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" და "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ" დებულებებით დადგენილი მოთხოვნები და ასევე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მართალია, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის №106 დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროექტის ინვესტორმა გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგინა *"მარნეულის მშენებლთა ბანაკის მიმდებარე 1 ha ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალურ სათავსებით დროებით დასაწყობებასთან დაკავშირებით "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება – ფონური პასუხისმგებლობის შესწავლა"*, სინამდვილეში, პროექტის ინვესტორმა სამინისტროს წარუდგინა *"მარნეულის მშენებლთა ბანაკის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება – ფონური პასუხისმგებლობის შესწავლა"* (იხ. დანართი 5), სადაც არ არის შესწავლილი მარნეულის მშენებლთა ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ნარჩენების დროებითი განთავსების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

აღნიშნულს ადასტურებს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ოთარ თურმანიძის 2003 წლის 10 ნოემბრის №13-12/216 წერილი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერის, ირაკლი ქელბაქიანისადმი (იხ. დანართი 6), სადაც ის აღნიშნავს:

"ნაგავსაყრელის მოწყობა საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" (თავი II მუხლი 4 პუნქტი 2-კ) მიეკუთვნება პირველი კატეგორიის საქმიანობას და თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილს დართულ დოკუმენტაციას, "მარნეულის მშენებლობის ბანაკი"-ს ძსგზშ-ს ანგარიშს, საჭიროა ნაგავსაყრელის მოწყობასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდეს ორი თავი, რომლებშიც ასახული იქნება:
1. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსების (დასაწყობების) პირობები;
2. სამუშაოთა დამთავრების და შემდგომში ნაგავსაყრელის ლიკვიდაციისას შესაბამისი საჭირო მოთხოვნები.".

აღნიშნულს ადასტურებს ასევე "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს პროექტის დირექტორის, როჯერ რიზკის 2003 წლის 13 ნოემბრის №SPPT-STA-PIP-L-0072 წერილი (იხ. დანართი 7), სადაც ის მოითხოვს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემას სამინისტროსთვის უკვე წარდგენილი დოკუმენტის (*"მარნეულის მშენებელთა ბანაკის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება – ფონური პასუხისმგებლობის შესწავლა"*) საფუძველზე.

2. მართალია, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის №106 დასკვნაში აღნიშნულია, რომ პროექტის ინვესტორმა გარემოს დაცვის სამინისტროს წარუდგინა *"გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარაში ნარჩენების დასაწყაო დანადგარ "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების შედეგად "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში"*, არც ეს შეესაბამება სინამდვილეს. პროექტის ინვესტორს არ წარუდგენია გარემოს დაცვის სამინისტროსთვის *"გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარაში ნარჩენების დასაწყაო დანადგარ "ინსინერატორი"-ს*

ფუნქციონირების შედეგად "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში".

აღნიშნულს ადასტურებს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, გია ფორფოლიანის 2004 წლის 23 მარტის №13-12/34 წერილი (იხ. დანართი 8), სადაც ის აღნიშნავს:

*"ინსინერატორის განთავსების საკითხი ასახული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში, რომელმაც გაიარა საზოგადოებრივი განხილვის 60 დღიანი პროცედურები და ინსინერატორთან დაკავშირებით არავითარი წერილობითი შენიშვნა ამ საკითხზე არ გამოთქმულა. რაც შეეხება ნარჩენების საკითხს, იგი ასახულ იქნა გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის პირობებში, სადაც მითითებულია, რომ "ნარჩენების მართვის სტრატეგია, პროგრამა და გეგმა უნდა წარედგინოს და განხილულ იქნას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში" (პუნქტი 12). ვინაიდან **BTC Co**-ს მხრიდან, მე-12 პირობის მოთხოვნის შესრულებამდე იქნა წარმოდგენილი განაცხადი აღნიშნული საქმიანობის განხორციელების შესახებ, ამასთან საჭირო იყო გათვალისწინებული ყოფილიყო ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დაბინძურების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები, დამატებით მოთხოვნილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად (...), რაზედაც, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურის ჩატარების შემდეგ, გაცემულ იქნა გარემოსდაცვითი ნებართვა."*.

2004 წლის 13 აპრილს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-მ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტს მიმართა თხოვნით, მოეწოდებინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გარემოს დაცვის სამინისტროსთვის წარდგენილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან" ის შესაბამისი ამონარიდი, სადაც განხილული იყო გარდაბანში ინსინერატორის მოწყობასთან და მის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები და რომელიც გახდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის საფუძველი (იხ. დანართი 9). პასუხად, გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსმა წარმოადგინა ამონარიდი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ 2002 წლის ივნის-ივლისში 60-დღიანი საჯარო განხილვებისთვის წარდგენილი "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" პროექტიდან (იხ. დანართი 10), სადაც ცხრილში 5-8 მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნულია, რომ ნავთობსადენის მშენებლობის პერიოდში ნარჩენების მართვის მიზნით შესაძლოა მუშათა ბანაკებსა და მილსაწყობებთან "ნარჩენების კრემატორიუმების" ფუნქციონირება.

მაშინ, როდესაც, როგორც თავად დეპარტამენტის უფროსი აღნიშნავს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას არ ჰქონდა შესრულებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის მე-12 პირობა (რომელიც გულისხმობდა ნარჩენების მართვის სტრატეგიის, პროგრამისა და გეგმის გარემოს დაცვის სამინისტროსთვის განსახილველად წარდგენას), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" პროექტში აღნიშნული ერთადერთი ფრაზა აღმოჩნდა საკმარისი გარემოს დაცვის სამინისტროსთვის, რომ არ მოეთხოვა პროექტის ინვესტორისთვის *"გარდაბნის რაიონის სოფ. ჯანდარაში ნარჩენების დასაწვავი დანადგარ "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების შედეგად "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის"* წარდგენა.

უსაფუძვლოა და არ შეესაბამება სინამდვილეს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, გია ჟორჟოლიანის 2004 წლის 23 მარტის №13-12/34 წერილში აღნიშნული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ *"ინსინირატორთან დაკავშირებით არავითარი წერილობითი შენიშვნა ამ საკითხზე არ გამოთქმულა"*. ის გარემოება, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" პროექტიც და საბოლოო ანგარიშიც არასრულფასოვნად ასახავდა და ფაქტიურად, არ შეიცავდა ინფორმაციას ნარჩენების დასაწვავ მოწყობილობა "ინსინირატორისა" და მისი ფუნქციონირების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე, დასტურდება ჯერ კიდევ 2002 წლის 30 ივლისს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისთვის წარდგენილ შენიშვნებსა და კომენტარებში (იხ. დანართი 11). აღნიშნულის თაობაზე, 2002 წლის 15 ნოემბერს გარემოს დაცვის სამინისტროს და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას ძალზე კრიტიკული შენიშვნები წარუდგინა ასევე, მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტით განხორციელებადი "ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერების პროექტის" ფარგლებში დაქირავებულმა გარემოსდაცვითმა მრჩეველმა (იხ. დანართი 12), რომელიც უწევდა რჩევებს საქართველოს მთავრობას (მათ შორის, გარემოს დაცვის სამინისტროს) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამგვარად, გარემოს დაცვის სამინისტრომ საკმარისად ჩათვალა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" პროექტში ასახული ინფორმაცია "ინსინირატორის" ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ და პროექტის ინვესტორს არ მოთხოვა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენა.

ამგვარი ქმედებით, გარემოს დაცვის სამინისტრომ ასევე დაარღვია ხელშეკრულების მე-3 დანართის მე-3 მუხლის 3.6 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, არ მოთხოვა რა პროექტის ინვესტორს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება. ხელშეკრულების მე-3 დანართის მე-3 მუხლის 3.6 პუნქტის თანახმად:

"გარემოს საწყისი მდგომარეობის შესწავლის დასრულების შემდეგ ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეები მილსადენთან დაკავშირებული საქმიანობის და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ოპერაციის მიმართ უზრუნველყოფენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ჩატარებას, რომლის მიზანია ტერიტორიის ფარგლებში გარემოსადმი პოტენციური ზიანის შეფასება (განურჩევლად იმისა, მილსადენთან დაკავშირებული საქმიანობა ტერიტორიის ფარგლებში ხორციელდება, თუ მის ფარგლების გარეთ)".

3. ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ პროექტის ინვესტორმა არ წარუდგინა გარემოს დაცვის სამინისტროს *"საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ - "ინსინირატორი"-ს ფუნქციონირების პროექტის"* გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. თავის მხრივ, გარემოს დაცვის სამინისტრომ არ მოთხოვა პროექტის ინვესტორს "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული, გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენა. ანუ, გარემოს დაცვის სამინისტრომ გაათავისუფლა პროექტის ინვესტორი (ინვესტორის მიერ დაგეგმილი საქმიანობა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისგან, რითიც დაარღვია "გარემოსდაცვითი ნებართვის

შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნები, რომლის თანახმად:

"3 ამ კანონის შესაბამისად, თუ ინვესტორის მიერ დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება პირველი კატეგორიას, მაშინ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების აუცილებელი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია გარემოზე ზემოქმედების შეფასება. აკრძალულია პირველი კატეგორიის საქმიანობაზე ნებართვის გაცემა მათი გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე ამ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა.

4. საქმიანობა შეიძლება გათავისუფლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან, თუ:

- ინვესტორი იმეორებს ან აგრძელებს ადრე დაწყებულ საქმიანობას, რომლისთვისაც უკვე შესრულდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა და მისი ხელახალი განმეორება არ შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას.

- საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ საქმიანობა დაიწყოს და გადაწყვეტილება ამის შესახებ სასწრაფოდ იქნეს მიღებული.

გადაწყვეტილებას გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან საქმიანობის გათავისუფლების შესახებ ინვესტორის თხოვნით იღებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი".

იმ ფაქტს, რომ პროექტის ინვესტორს სურდა, გარემოს დაცვის სამინისტროს გაეთავისუფლებინა მის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურისგან, ადასტურებს "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს პროექტის დირექტორის, როჯერ რიზკის 2003 წლის 2 აგვისტოს № SPPT-STA-FAC-L-0031 წერილი (იხ. დანართი 13), სადაც პროექტის ინვესტორი, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოითხოვს "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლებას. კერძოდ, ის აღნიშნავს:

*"**SPJV** თვლის, რომ დამატებითი ნებართვები მოწყობილობების მშენებლობაზე და ოპერირებაზე არ არის საჭირო. იმისათვის რომ თავი ავარიდოთ რაიმე გაურკვევლობას, **SPJV**-ის სურს მიიღოს დადასტურება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან, რომ არსებული ნებართვა გაცემული **BTC Co**-ზე მოიცავს ასეთ საქმიანობას."*

ფაქტიურად, გარემოს დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა პროექტის ინვესტორის აბსოლუტურად უსაფუძვლო თხოვნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ და ამასთან, თავად მიიღო გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისგან გათავისუფლების შესახებ, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ჰქონდა მხოლოდ *გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციალურ საბჭოს*. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს დღემდე არ შეუსრულებია "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულება და არ განუსაზღვრია *გარემოზე ზემოქმედების შეფასების სპეციალური საბჭოს* შემადგენლობა და ფუნქციები.

II.

"საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ - "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების პროექტზე" გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემამდე გარემოს დაცვის სამინისტროს უნდა შეესრულებინა "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" კანონის მე-5 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას.

კერძოდ, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ავალდებულებს ინვესტორს, საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადთან ერთად წარადგინოს საქმიანობის მოკლე ანოტაცია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პრესაში და მიეწოდოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. პროექტის ინვესტორის მიერ კანონის ეს მოთხოვნა არ იქნა შესრულებული, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრომ არ მოთხოვა პროექტის ინვესტორს განაცხადთან ერთად საქმიანობის მოკლე ანოტაციის წარდგენა.

გარემოს დაცვის სამინისტრომ ასევე არ შეასრულა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა. კერძოდ, სამინისტრომ პროექტის ინვესტორის მიერ განაცხადის შეტანიდან ათი დღის ვადაში არ გამოაქვეყნა საქმიანობის მოკლე ანოტაცია და ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვების დროისა და ადგილის შესახებ.

საზოგადოების ინფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, გარემოს დაცვის სამინისტრო ასევე, ვალდებული იყო პროექტის ინვესტორის მიერ განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს ორ თვეში მოეწყო საქმიანობის განხორციელების საკითხებთან დაკავშირებული საჯარო განხილვა, სადაც პროექტის ინვესტორის, გარემოს დაცვის სამინისტროსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მივიღებდით ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლები და დავაფიქსირებდით ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვალდებულება გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ არ იქნა შესრულებული, რის გამოც დაირღვა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი.

გარემოს დაცვის სამინისტრომ ასევე დაარღვია ხელშეკრულების მე-3 დანართის მე-3 მუხლის 3.9 (iii) პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები, არ მოთხოვა რა პროექტის ინვესტორს აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის ჩატარება და მასზე კომენტარების გაკეთების პროცედურული მოთხოვნების შესრულება.

"გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, *"საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ - "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების პროექტი"* განეკუთვნება პირველი კატეგორიის საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კატეგორიის საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების წარმომადგენელთა სრულყოფილი მონაწილეობა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის სავალდებულო მოთხოვნაა, გარემოს დაცვის სამინისტრომ არ შეასრულა გარემოსდაცვითი ინფორმაციის

ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის კანონით დადგენილი ვალდებულებები. ამდენად, ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლებს, გარემოს დაცვის სამინისტრომ წაგვართვა ჩვენთვის კანონით გათვალისწინებული და მონიჭებული უფლება.

გარემოს დაცვის სამინისტროს, ისევე როგორც პროექტის ინვესტორს უნდა შეესრულებინა გარემოსდაცვითი ნებართვის გასაცემად კანონმდებლობით დადგენილი, მათთვის შესასრულებლად სავალდებულო ქმედებები, მით უფრო, რომ საკითხი ეხებოდა პირველი კატეგორიის საქმიანობას, რომელმაც "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "თავისი მაშტაბით, განლაგებითა და შინაარსით შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედება გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე".

ამასთან, ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ამჟამად არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული უამრავი კვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ ე.წ. "ინსინერატორში" ნარჩენების დაწვით შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს როგორ ადამიანთა ჯანმრთელობას, ისე ბუნებრივ გარემოს. კვლევებში დასტურდება, რომ საუკეთესო აირმტვერდამჭერი მოწყობილობების გამოყენების შემთხვევაშიც კი, "ინსინერატორები", სადაც იწვება სახიფათო ან მყარი ნარჩენები, ფუნქციონირებისას გამოყოფენ ატმოსფერული ჰაერის ისეთ ტოქსიკურ დამაბინძურებლებს, როგორიცაა ტვიისა და ვერცხლისწლის ნაწილაკები და მომწამლავი ნივთიერებები, დიოქსინები. "ინსინერატორის" ფუნქციონირების შედეგად ასევე რჩება მაღალტოქსიური ფერფლი, რომელიც შემდეგ უნდა განთავსდეს ნაგავსაყრელებზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში "ინსინერატორების" მშენებლობა აკრძალულია. მაგალითად, შვედეთში 1985 წელს აიკრძალა ახალი "ინსინერატორების" მშენებლობა. 1992 წელს აშშ-ს ორ შტატში (როდ აილენდსა და დასავლეთ ვირჯინიაში) აიკრძალა მყარი ნარჩენების "ინსინერატორების" მშენებლობა. იმავე აშშ-ში, "ინსინერატორებით" გამოწვეული ძლიერი დაბინძურების გამო, 1985 წლიდან 1997 წლამდე დაიხურა რამოდენიმე მოქმედი "ინსინერატორი" და შეჩერებულ ან გაუქმებულ იქნა 280-ზე მეტი ახალი "ინსინერატორი"-ს პროექტის განხორციელება საზოგადოების მხრიდან გამოხატული ინტენსიური ოპოზიციის გამო.

III.

იმის გამო, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ არ შეასრულა "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი სავალდებულო მოქმედებები და ჩვენ საზოგადოების წარმომადგენლებს არ მოგვცა იმის უფლება, რომ მონაწილეობა მიგველო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მას არ ჰქონდა უფლება გაეცა გარემოსდაცვითი ნებართვა, ვინაიდან "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, გარემოს დაცვის სამინისტროს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ, მხოლოდ საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. საზოგადოების აზრს კი, ამ საკითხთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტრო ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, რეალურად არ ფლობდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მეტყველებს, რომ გარემოსდაცვითი ნებართვა გაცემულია კანონის დარღვევით და მსგავსი ფორმით ამ აქტის გაცემა მნიშვნელოვნად არღვევს საზოგადოების (მათ შორის ჩვენს) კანონიერ უფლებებს. აქედან გამომდინარე, არსებობს ნებართვის ბათილობის კანონიერი საფუძვლები, დადგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლები, ამ შემთხვევაში, მოქმედებს, ვინაიდან ის, არათუ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მოთხოვნებს, არამედ თვით ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე საჯაღდებულოდ გამოსაყენებელია. კერძოდ, ხელშეკრულების მე-3 დანართის მე-3 მუხლის 3.1 (ii) პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით, ამასთან დაკავშირებით, მოქმედებს მარეგულირებელი ადმინისტრაციული სტრუქტურები და პროცედურები. ასეთ ადმინისტრაციულ პროცედურებს კი, ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ჩვენ გვაქვს უფლება ვცხოვრობდეთ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა.

"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "თ" პუნქტის თანახმად, ჩვენ უფლება გვაქვს სასამართლო წესით მოვითხოვოთ ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ გადაწყვეტილებათა შეცვლა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ *"საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ - "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების პროექტის"* განხორციელება იმ სახით, როგორზეც გარემოს დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა ნებართვის გაცემა, არის ეკოლოგიურად საშიში და შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ადამიანთა ჯანმრთელობას, ჩვენ ბუნებრივ და კულტურულ გარემოს. ასეთ პირობებში გარემოს დაცვის სამინისტროს უფლება არ ჰქონდა მიეღო გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება შესაცვლელია. ანუ, გარემოსდაცვითი ნებართვა ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და ახალი გადაწყვეტილება გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად და დროულად იქნება უზრუნველყოფილი საზოგადოების წარმომადგენელთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, ჩვენ უფლება გვაქვს ჩვენი უფლების დასაცავად მივმართოთ სასამართლოს. ჩვენი სარჩელი დასაშვებია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 24-ე მუხლებითაც. ამავდროულად, ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ჩვენ, როგორც გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია, განვიხილებით "დაინტერესებული საზოგადოებად". შესაბამისად, არც ამ და არც სხვა მსგავსი გარემოსდაცვითი სარჩელების დასაშვებობის მტკიცება სასამართლოს წინაშე, ჩვენთვის არ არის აუცილებელი, ვინაიდან ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ჩვენს სახელმწიფოს ნაკისრი აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს მსგავსი სარჩელების სასამართლოში განხილვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

- ბათილად ცნოთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2003 წლის 24 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა №0122;

- დაავალოთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს "საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების სპეციალური სათავსებით დროებით დასაწყობების და ნარჩენების დასაწვავ დანადგარ - "ინსინერატორი"-ს ფუნქციონირების პროექტთან" დაკავშირებით საჯარო განხილვების მოწყობა და მასში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მოსარჩელე – ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
გამგეობის თავმჯდომარე – მანანა ჭოჩლაძე

(მ. ჭოჩლაძე)

დანართები:

დანართი 1: გარემოსდაცვითი ნებართვა №0122 და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №106 (6 გვერდი);

დანართი 2: "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენცია (29 გვერდი);

დანართი 3: "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი (21 გვერდი);

დანართი 4: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2002 წლის 16 მაისი №59 ბრძანება ""გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულებისა და მაგისტრალური მილსადენის პროექტების ტანდარტული ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" (25 გვერდი);

დანართი 5: საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერის, ირაკლი ქელბაქიანის 2003 წ. 5 ნოემბრის წერილი №1157-5UN-04 საქართველოს გარემოსა ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, გია ჟორჟოლიანისადმი (19 გვერდი);

დანართი 6: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ოთარ თურმანიძის 2002 წ. 10 ნოემბრის წერილი №13-12/216 საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის აღმასრულებელი მენეჯერის, ირაკლი ქელბაქიანისადმი (1 გვერდი);

დანართი 7: "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს პროექტის დირექტორის, როჯერ რიზკის 2003 წ. 13 ნოემბრის წერილი №SPPT-STA-PIP-L-0072 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, ოთარ თურმანიძისადმი (2 გვერდი);

დანართი 8: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გია ჟორჟოლიანის 2004 წ. 23 მარტის წერილი №13-12/34 ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სოციალური მონიტორინგის პროგრამის კოორდინატორის, ქეთევან გუჯარაიძისადმი (3 გვერდი);

დანართი 9: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს თავმჯდომარის, მანანა ჭოჩლაძის 2004 წ. 13 აპრილის წერილი №04/02-22 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გია ჟორჟოლიანისადმი (2 გვერდი);

დანართი 10: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, გია ჟორჟოლიანის 2004 წ. 19 აპრილის წერილი №13-12/56 ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს თავმჯდომარის, მანანა ჭოჩლაძისადმი (9 გვერდი);

დანართი 11: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს 2002 წ. 30 ივლისის შენიშვნები და კომენტარები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" პროექტზე (19 გვერდი);

დანართი 12: მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტით განხორციელებადი "ენერგომატარებლების ტრანზიტის ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერების პროექტის" ფარგლებში დაქირავებული გარემოსდაცვითი მრჩეველის პროექტის მენეჯერის, კლაუდიო ბერლინჯიერის 2002 წლის 15 ნოემბრის წერილი №03/2002 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის, ნინო ჩხობაძისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის, გია ჭანტურიასადმი (61 გვერდი);

დანართი 13: "სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალი"-ს პროექტის დირექტორის, როჯერ რიზკის 2003 წ. 2 აგვისტოს წერილი №SPPT-STA-FAC-L-0031 საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, გია ჟორჟოლიანისადმი (13 გვერდი).

დანართი 14: ამონარიდი საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 31 მაისს რატიფიცირებული "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების დანართიდან, "ხელშეკრულება ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს მთავრობა და პროექტის ინვესტორები" (23 გვერდი)